



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი


№23 (9.588)

22-29 ივნისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირაული გამოცემა

## ქრისტიანობის არსი ქველმოქმედებაა ერთსულოვნება კელიების მშენებლობისთვის



დედოფლისწყაროს ელიას მთაზე რამდენიმე წელია, ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარი აშენდა და განახლდა ღვთისმსახურება. თუმცა იმ ბერებისთვის, რომელთაც ტაძარში წირვა-ლოცვა უნდა აღავლინონ, კელიების მშენებლობის საკითხი კვლავ მოუგვარებელია. როდესაც ელიას

მთაზე მშენებარე კელიების სახეობად ავედით, მხოლოდ ნაწილობრივ ჩასხმული ფუნდამენტი დაგვხვდა, მის სიახლოვეს კი რკინის კონსტრუქცია იდგა, ე.წ. ვაგონური სისტემის. როგორც განგვიმარტეს, ამ ვაგონში უნდა იცხოვრონ ბერებმა, რომელთაც ელია თეზბიტელის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვა უნდა აღავლინონ(!) იმ დღეს ელიას მთაზე საკმაოდ ცხელია, დავინტერესდით, როგორი ტემპერატურა იყო ბერების საცხოვრისში. იქ გაცილებით ცხელია, ვიდრე გარეთ... ზამთარშიც არანაკლები ტემპერატურული, და არა მარტო, პრობლემის ატანა მოუწევთ ბერებს. მესმის, შესაძლოა, ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა თქვას, ღვთის სამსახურში ყოფნა იმიტომაცაა რთული, რომ ის ამქვეყნიურ სიამოვნებებზე და, მათ შორის, ყოველდღიურ კომფორტზე უარს თქმასაც გულისხმობს, მაგრამ ჩვეულებრივმა მოკვდავებმა იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მოვალეობა სწორედ იმ ადამიანების შეძლებისდაგვარად დახმარებაა, რომლებიც ჩვენი სულიერების გადარჩენაზე ზრუნავენ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არავის ეგონოს, თითქოს ამ წერილის დაწერა ეკლესიის წარმომადგენელთა ინიციატივით მოხდა. პირიქით, ბერები ამბობენ, რომ ისინი რკინის კონსტრუქციებში უპრობლემოდ იცხოვრებენ,

თუმცა, ეს რომ ასე არ არის, ამაში იქ სტუმრობის დროს თავად დავრწმუნდი...

დედოფლისწყაროელთა ერთი ნაწილი უკვე დარაზმულია და ყველანაირად ცდილობს, ჩაერთოს კელიების მშენებლობაში და საკუთარი წვლილიც შეიტანოს. ჩვენი სტუმრობისას ელიას მთაზე რამდენიმე ადამიანი დაგვხვდა, რომლებიც საკუთარი ინიციატივით ბერებისთვის საცხოვრებლის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. საძირკველი უკვე ჩასხმულია, თუმცა, კელიების აშენებას სახსრებთან ერთად მონდომებაც სჭირდება, თითოეული ადამიანის ძალისხმევა... ასეთმა დამოკიდებულებამ ააშენა წლების წინ დედოფლისწყაროს ცენტრში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი, ახლაც ისეთივე ერთსულოვნება გვმართებს დედოფლისწყაროელებს. გაზეთი „შირაკი“ კი ყოველთვის აქტიურად გააშუქებს იმ შემთხვევებს, რომელსაც ამ კეთილი საქმისთვის გაიღებენ. თავიანთი შრომით კელიების მშენებლობას უკვე შეეწინააღმდეგებენ: გიორგი ყაჭაშვილი, ლევან რობიტაშვილი, რამაზ მამანიძე, ნიკა ძნელაშვილი, ზაზა იაკობიშვილი, ვალერი ალავერდაშვილი

იხაზი შეგვადი, შეანიხი კელიების მშენებლობას!

ინგა შიოლაშვილი

## „ჩვენში წყლის მოხმარების კულტურა რომ იყოს, არცერთ სოფელს პრობლემა არ ექნებოდა“ ...

რამდენიმე დღიანი უწყლოობის შემდეგ დედოფლისწყაროს წყლის მიწოდება აღუდგა. როგორც გაზეთ „შირაკს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრში განუცხადეს, წყლის შეწყვეტის მიზეზი ცენტრალური რეზერვუარების გეგმიური წმენდა იყო. სიახლეა ისიც, რომ გასული წლების განსხვავებით წელს ზაფხულის განმავლობაში წყლის დებეტის პრობლემა აღარ დადგება, რაც წყლის მიწოდებაზე მოსალოდ-

ნელ გრაფიკას, თუ შეზღუდვებს თავიდან აგვაცილებს.

წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ხელმძღვანელის გია გოგილაშვილის განმარტებით, მან მრავალწლიანი ოცნება აისრულა და ე.წ. ირაკლის წყაროს წყლის რეზერვუარში გადატუმბვით რაიონში არსებული დებეტის პრობლემა გადაიჭრა. დედოფლისწყაროში საკმარისი წყლის არარსებობის პრობლემა მაშინ დადგა, როცა ქალაქის წყალმომარაგებას სოფლე-

ბი ხორნაბუჯი და სამრეკლო შეუერთდა. წყლის მარაგი ზაფხულის ცხელ დღეებში ხშირად არასაკმარისი იყო, რის გამოც გასულ წლებში პერიოდულად შეზღუდვები მოქმედებდა და 24 საათიანი გრაფიკის შენარჩუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.


ამ დღეებში „შირაკმა“ თბილისიდან წერილი მიიღო. ამჯერად, რედაქციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანის მკვიდრი თამილა თამაზაშვილი ეხმიანება და

ოზაანში არსებული წყალმომარაგების პრობლემებით დაინტერესებას ითხოვს. თამაზაშვილი ოზაანში წყლის უზარისხობაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ სასმელი წყლის უზარისხობის გამო სააღდგომოდ ოზაანში სტუმრად ჩამოსულ ბავშვებს მუცლის ტკივილები დაეწყეთ.

„მოგესალმებით, დედოფლისწყაროს რაიონში სოფელ ოზაანში. - მაქვს სახლი, პირველ რიგში გეტყვი, რომ ძალიან მომწონს თქვენი გაზეთი,

მაგრამ კარგი იქნება, სოფლებიც და იქ არსებული პრობლემებიც ხშირად გააშუქოთ და დაინტერესდეთ. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც ბავშვები სააღდგომოდ არდადეგებიდან ოზაანში დაბრუნდნენ, მუცლის ტკივილმა არ გაუარა, იმდენად დაბინძურებული წალი მოდის ოზაანში. მოსდევს ჭიები და ათასი სიბინძურე. ჯერ კიდევ უსამართლო ხელისუფლების დროს ჩემმა მეუღლემ ეს წყალი აჩვენა რაიონის წყალკა-

„ქართული ოცნების“ ასაღვასრულ ფრთას მაკა სულაშვილი უსწვამდეგანულებს



მმ. 2

„ქართუ ჯგუფი“ ვაულოვანის ნაკრძალი რეაბილიტაციას იწყებს

მმ. 2

შეხვედრა გალაქტიონთან



მმ. 4

ყველაზე სადღო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანაპირი შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი
- მხოლოდ ჩვეთად!

ის, რასაც სხვაბან ვერ ნაიკითხავთ!

[www.dedoplistskaro.ge](http://www.dedoplistskaro.ge)



# „ჩვენში წყლის მოხმარების კულტურა რომ იყოს, არცერთ სოფელს პრობლემა არ ექნებოდა“

**(გაგრძელება გვ. 3)  
(პირველი გვერდიდან)**

ნალის მაშინდელ უფროსს და აქეთ მასხარად აიგდო, მე რა ვქნაო, იმედია ახლა რაიმე დონეს იხმარენ. თუ კიდევ ასეთი უსამართლობაა ამ რაიონში, მაშინ უკვე მე პირადად ზემდგომ ორგანოებს მივმართავ. იმედია, დაგვეხმარებით და ოზაანელებს ზაფხულში სუფთა სასმელი წყალი გვექნება. მადლობა წინასწარ!“, - გვწერს თამილა თამაზაშვილი.

მოქალაქის წერილი წყალმომარაგების კომპანიის დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელობას გავაცანით და განმარტებები ვთხოვეთ.

კომპანიის ადგილობრივმა ლაბორანტმა თამუნა მჭედლიშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, რომ უკანასკნელად სოფელ ოზაანის წყლის ხარისხიანობა 31 მაისს შემოწმდა. მისი თქმით, სუნი, გემო და ფერი ნორმაშია, ოდნავ სიხისტეა მაღალი, თუმცა ეს დედოფლისწყაროსთვის დამახასიათებელი პრობლემაა. სხვა პარამეტრებიც დაბალანსებულია. რაც შეეხება წყლის სიხისტის მატებას, ასევე მაღალია ზემო ქედშიც, ხოლო სიხისტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქალაქ დედოფლისწყაროში ფიქსირდება.

„მოგესხენებათ, დედოფლისწყარო კარბონატულ ნიადაგზეა გაშენებული და სიხისტის ზრდა ამითაა გამოწვეული. ამბობენ, რომ ჩვენს რაიონში რადიაციული ფონის ნორმაც დასაშვებზე ორჯერ მაღალია. რადიაციის კონტროლს ჩვენ ვერ ვახორციელებთ, ამიტომ დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი. რაც შეეხება სიხისტის კლებას, ამისათვის ძალზე ძვირადღირებული აპარატურაა საჭირო. ახლახან, წყალმომარაგების კომპანიის თანამშრომლებს ტრენინგები ჩავგიტარადა, სადაც ამ საკითხზეც იყო საუბარი. იქ ითქვა, რომ სიხისტის დამწვევი ფილტრის შექმნა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მითუფრო, რომ მისი დამონტაჟება ყველა რეზერვუართან არის საჭირო. მინდა გითხრა, რომ საკმაოდ ბევრი სამსახური გვაკონტროლებს და ამ მხრივ ხარვეზები გამოიკვლია. პერიოდულად მათაც ვაწვდით ჩვენი ლაბორატორიული კვლევების შედეგებს. ახლა უკვე დაწყებულია საგაზაფხულო რეცხვები და რეზერვუარების წმენდა მიმდინარეობს. გეგმიური რეცხვის პროცესი რეზერვუარებში წელიწადში ორჯერ ტარდება, საგაზაფხულო და საშემოდგომო. რაც შეეხება სოფლებში წყლის ხარისხის კონტროლს, საშუალოდ თვეში ორჯერ ჩავდივართ და ვახდენთ შემოწმებას. მონაცემებს კი

სპეციალურ ჟურნალში ვატარებთ (ჟურნალს გვიჩვენებს გვაძლევს). მოსახლეობის შენიშვნები მუდმივად შემოდის, თუმცა კვლევები აჩვენებს, რომ დედოფლისწყაროში სასმელი წყალი მოსახლეობისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა და პარამეტრები ნორმის ფარგლებშია. საკუთარ ბავშვებსაც ამ წყალს ვასმევ და მინდა ყველა მშობელს და მოქალაქეს ვუთხრა, რომ სრულიად დარწმუნებული ვარ წყლის ხარისხში“, - აცხადებს ლაბორანტი თამუნა მჭედლიშვილი.

წყლის უზარისხობას უარყოფს წყალმომარაგების კომპანიის ადგილობრივი ხელმძღვანელიც. გია გოგილაშვილი ამბობს, რომ ოზაანელები პრობლემის გაზვიადებას ხელოვნურად ცდილობენ.

„ოზაანში წყლის სინჯი სოფლის საკრებულოს შენობის წინ ავიღეთ და იქ საკმაოდ ხალხი იმყოფებოდა. როდის მოწმდება წყალი, ამას თავადაც ამჩნევენ. აღმოჩნდა, რომ გემო, ფერი და სული 0%-იან ზღვარზეა. შესაბამისად, მოსახლეობის პრეტენზია საფუძველს მოკლებულია. ოზაანელები წყლის მიწოდებას თავწყაროს წყლიდან ითხოვენ და პრეტენზიებსაც ამის გამო გამოთქვამენ. ერთ მონაკვეთზე გედიქიდან ოზაანამდე არის მილი შესაცვლელი. 1 კილომეტრამდე მანძილზე საჭიროებს პლასტმასის მილის დაფენას. ლითონის მილებმა შესაძლოა წყალს ფერი უცვალოს.

სოფელ გამარჯვებაში 1640 სული, ზემო მაჩხაანში 2600, ოზაანში 1240, ხოლო მირზაანში 650 სული მაცხოვრებელია. ამ სოფლებს დღეში 950 ტონა წყალი მიეწოდება. უნდა ითქვას, რომ დედოფლისწყაროს 98% უკვე გამრიცხველიანებულია, ამასთან, სოფლების სამრეკლოს და ხორნაბუჯის 70-80%-იც უკვე მრიცხველით სარგებლობს. საამაყოა, რომ გამრიცხველიანების ხუთით დედოფლისწყარო, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, პირველი მერცხალი იყო. დარწმუნებული ვარ, გამრიცხველიანება რომ არ მომხდარყო, ნამდვილად ვერ მოხერხდებოდა ყველა აბონენტისთვის წყლის 24 საათიან რეჟიმში მიწოდება. უცხო არავისთვისაა და უფროს თაობას კარგად ემასხოვრება ის პერიოდი, როცა დედოფლისწყაროს სასმელი წყალი ლაგოდეხის რაიონიდან მიეწოდებოდა. ჩვენ საკმარისი სასმელი წყლის მარაგი არ გვქონდა და ამიტომ ლაგოდეხიდან დღე-ღამეში 12 000 ტონა წყალს ვიღებდით. საოცარია, რომ დღეს საკუთარი რესურსით ვახერხებთ 24 საათიანი წყალმომარაგების შენარჩუნებას.

- წყლის დებეტის გასაზრდელად ახალი პროექტის

**განხორციელება დასრულდა. რას გულისხმობთ, როცა ამბობთ, რომ ამით ოცნება აისრულეთ?**

- მოგესხენებათ, ახლახან, წარმატებით დასრულდა ერთიანი სამუშაოები, რომელიც ქ. დედოფლისწყაროში, სოფელ ხორნაბუჯსა და სამრეკლოში სასმელი წყლის დეფიციტის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად. ქალაქში არსებული ყოფილი ლიმონათის ქარხნის მიმდებარე „რაკლის წყლიდან“ სოფელ ხორნაბუჯის ცენტრალურ წყალსაქამდე მიყვანილი იქნა ახალი ქსელი, რის შედეგადაც წყლის დებეტი ათასი მეტრ კუბის ოდენობით გაიზარდა. ეს კი ნიშნავს, რომ ამ წყაროს დახმარებით დებეტის პრობლემა გადავჭერთ. ამაზე მრავალი წელია ვოცნებობ, თუმცა მუნიციპალიტეტის წინა ხელმძღვანელები ამ იდეას არ იზიარებდნენ, მათი დათანხმება ვერაფრით ვერ მოვახერხე და ამ დრომდე მისი განხორციელება ამიტომ ვერ მოხერხდა. ახლა კი შევადგინე ხარჯთაღრიცხვის პროექტი, წარვადგინე კომპანიაში, განიხილეს და განხორციელდა. აღმოჩნდა, რომ დიდ ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული. ამას გარდა, პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა სამუშაოები სოფელ ხორნაბუჯში, დუმბაძის ქუჩაზე, სადაც შეიცვალა 600 მეტრიანი ლითონის მილი. სამუშაოებს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აწარმოებდა, გარკვეული რესურსი ჩვენც დავახმარეთ და საბოლოო ჯამში მშენიერი საქმე გაკეთდა. ქ. დედოფლისწყაროს, ხორნაბუჯისა და სამრეკლოს მოსახლეობას ზაფხულში სასმელი წყლის ნაკლებობა აღარ შეაწუხებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ წყლის დანიშნულების მიხედვით მოხმარება შევძლოთ.

მაგალითად, ამავე სამსახურში ჩემი წინა მუშაობის პერიოდში წინააღმდეგი ვიყავი წყლის არასწორად მოხმარების. მაგალითად, ზოგიერთი აბონენტი წყალს ჭარბად მოიხმარდა და ასობით ტონა დახარჯული წყლის გადასახადს იხდიდა. დედოფლისწყაროს მაშინდელი ხელმძღვანელობა არც ამაში მეთანმებოდა. მაგალითად, ლევან ბალაშვილი მიიჩნეოდა, რომ თუკი გადასახადს დაფარავდა, აბონენტს რამდენიც სურდა იმდენი წყალი მოეხმარა. მე კი ვენიშნავდებოდი და ვამტკიცებდი, რომ არ შეიძლება სასმელი წყალი ბოსტნების სარწყავად გამოვიყენოთ და ისიც დაუშვებელია, რომ დაუდევრად მოიხმარონ. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მართალია გადასახადს იხდის, თუმცა, თუ ერთი აბონენტი ბოსტანს მორწყავს, ეს



ნიშნავს, რომ შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ამავე უბნის ბოლოში მცხოვრები ადამიანის წყლით მომარაგების საკითხი და იმის გამო, რომ ერთმა მეზობელმა დიდი ოდენობით წყალი მოიხმარა, უდიერად დაღვარა, ან ბოსტანი მორწყა, ეს მეორე მე-

ზობელს აუცილებლად ხელს შეუშლის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში წყლის მოხმარების კულტურა რომ იყოს, დედოფლისწყაროში არცერთ სოფელს წყლის პრობლემა არ ექნებოდა“.

ილია მარტყოფლიშვილი

# შეხვედრა გალაქტიონთან

სკოლა „ბენაური“-ის ის კერძო სკოლა გახლავთ, რომელიც სულ რამდენიმე წელია, ფუნქციონირებს ჩვენს რაიონში და რომელსაც არაერთი ქართველი გადაუტანია იმისთვის, რომ არ დაცემულიყო და კვლავ ელვანა, კვლავ თავისი სიტყვა ეთქვა საზოგადოებისთვის. მოუხედავად უამრავი ზნეობისა, „ბენაური“ დღევანდლამდე ასე, თუ ისე, მოვიდა. სახელი?-სახელი კი უკვე რა ხანია, დაიმკვიდრეს. სკოლა „ბენაური“ აქტიურად მონაწილეობს რაიონის თუ რესპუბლიკურ სასკოლო ღონისძიებებში და არცთუ წარუმატებლად, ის ყოველთვის იკავებს პირველ რიგებს, რაც ასეთი მასშტაბის სკოლისთვის მართლაც კარგია.

სკოლა გამოირჩევა ღონისძიებების ჩატარებით, კონფერენციებში აქტიური ჩართულობითა და მოსწავლეებისთვის მაღალი დონის სწავლებით. ამ ყველაფრის საწინდარი კი, ჩემის აზრით სკოლაში შექმნილი ის აურაა, რაც მოსწავლეებს სიმყუდროვის, სიტბოს და ოჯახურ გარემოში ყოფნის განცდას აძლევს. ამ დღეებში სკოლა „ბენაურის“ გალაქტიონის საღამოზე გახლდით და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემოიძლია ვთქვა, თითქოს სალონური სტილის საღამოზე მოვხვდი. მუსიკა და მუსიკის ჰანგებზე წაკითხული გალაქტიონი, ვიოლინო, ფორტეპიანო და გალაქტიონის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, ასეთი გახლდათ ბენაურში იმდღევანდელი დღე. არაჩვეულებრივი გარემო, შეკრული კოლექტივი, გულსხმიანი მშობლები და მეგობრულად განწყობილი მოსწავლეები.

ცხადია, როდესაც გალაქტიონის თემას შეეხებიან, შეუძლებელიც იქნებოდა, მის თემას გვერდი აუარონ ისე, რომ მისი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „რომელია საათია?“, „ქარი ქრის“, „მე და ლამე“ ან „მერი“ არ წაეკითხათ!

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილაშაზე.“-ამბობდა ლექსს მოსწავლე მარიამ მეხრიშვილი. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი არ გაიარე, რაა მამული?!”- გალაქტიონის კალმით ნათქვამი სტრიქონებით კითხვას გვისვამდა ლერი ყაზაროვი. მოსწავლე ანა თეთრაულმა კი, ნაგვიკითხა გალაქტიონის „დღეები ბრუნავს ვით კამათელი“. მაგდა ბენაშვილმა პოეტის ყველაზე ახლობელი ადამიანი ოლა-ოლოლი გაიხსენა, რომელსაც გალაქტიონი მუდამ თბილი და მგრძობიარე წერილებით ანებივრებდა და აქვე წაკითხა გალაქტიონის ლექსი „მატარებელი“.

მოსწავლეებმა მუსიკის პედაგოგის მზია ჯავახიშვილის აკომპანიმენტის თანხლებით შესარულეს გალაქტიონის ლექსებზე შექმნილი სიმღერები, მათ შორის საუკეთესო იყო ახლებული ინტერპრეტაციით შესრულებული სიმღერა, „შენ ჯვარს იწერდი იმ ლამეს, მერი.“

სკოლა „ბენაურის“ მოსწავლეებს გათავისებულ შპონდათ, რომ „როგორც ერთი ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაქტიონი“ და მისი სტრიქონები მთელი არსებით შპონდათ შეგრძნებული. მათ ესმოდათ, რომ „ვინც გაიგებს ჩუქურთმას

ქართულს, ის პოეზიას მისას გაიგებს“, ის, რომ გალაქტიონს ვერ ლექსი სწავდა, მერე მზე, რომ მისთვის დღესავით იყო ნათელი, თუ რას იტყოდა მასზე შთამომავლობა.

გალაქტიონი სიცოცხლეშივე ამოუცნობი ფენომენი იყო თავისი მეოხით, თავისი შეგნებით, ცადგადასული, ლალი აზროვნებით, რომელიც სიცოცხლის შემდეგაც ამოუცნობი და ამავე დროს ძალიან ახლობლად დარჩა ყოველი ქართველისათვის. ალბათ არ არსებობს ქართველი, რომელმაც გალაქტიონის ერთი ლექსი მაინც ზეპირად არ იცოდეს. და თუ ეს ასე არაა, სირცხვილი იმ ქართველს. გალაქტიონის შემოქმედებისადმი უფრო ახლოს ზიარებას და ახლოს შეცნობას ვერსაზურებოდა ეს საღამოც, რომელიც მისი შემოქმედების ცოდნის გაღრმავებას და სიღრმისეულად ჩანვდომას ემსახურებოდა. მისასალმებელია, რომ სკოლა „ბენაურმა“ გალაქტიონს მორიგი საღამო მიუძღვნა, სადაც სკოლის თითქმის ყველა კლასის, პირველიდან მეათერთმეტე კლასამდე მოსწავლეები იყვნენ ჩართულნი. ამ დღემ კიდევ ერთხელ შეგვახედა დიდი პოეტის შემოქმედებასა თუ მის სულიერ სამყაროში და დაგვარწმუნა, რომ გალაქტიონი თავისი შემოქმედებით ყოველი ჩვენგანის გულში ზის და ცოცხლობს.

ლალი მეხრიშვილი



# „ცოდნითა და ნიჭით კაცი, თავს გაიკვლევს ცხოვრებაში“



„- რასა ხედავ?-ცასა ლურჯსა. -რასა ნატრობ?-მხატვრის ფუნჯსა. -რას დახატავ?-მასწავლებელს. -გაუმარჯოს?-მასწავლებელს!“-ასეთი ლამაზი სიტყვებით ეთხოვებოდნენ სკოლაში გატარებულ 4 წელს და პირველ მასწავლებლებს სოფელ ზემო მახხანის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები. მოსწავლეები, რომლებსაც ნათლად ამჩნევიათ კვალი, რომ ისინი ნიჭიერები და სისხლით ნამდვილი ქიზიყელების ჩამომავლები არიან. იმ სოფლის მიწით არიან ნასაზრდოები, რომელსაც თავისი ისტორია და კულტურა აქვს, იმ სოფლის, რომელსაც არაერთი საამაყო შვილი გამოუზრდია და კვლავაც გამოზრდის. ეს პატარებიც სწორედ ამისი დასტური არიან. დიახ, თუ იხილავდით მათ წარმოდგენილ ცეკვა „მთიულურს“, „ქართულს“, „აჭარულს“, თუ იხილავდით ლუკა ნატროშვილის მიერ წაკითხულ ლექსს „თუ არ გინახავს კახეთი!“ და მარი ოზბეთელაშვილის ნაცეკვებ „ჯეირანს“, დარწმუნდებოდით, რომ სწორედ აქ, ერთ ჩვეულებრივ სოფელში იზადებიან და იზრდებიან სწორედ ის ქართველები, რომელთაც ჩვენი მომავალი იმედინად შეგვიძლია დავაყრდნოთ.

„ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამინას გული გაუხსნა, შიგ უღვივი სიმდიდრე ჩადა და ადამიანს უანდერძა:

იშრომე, გაისარჯე, ეგ სიმდიდრე დედამინის გულიდან ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარე!“-როცა ასეთი შინაარსის სიტყვებს მეოთხე კლასის მოსწავლე წარმოსთქვამს, უნდა ითქვას, რომ სკოლას თავისი მისია უმაღლეს დონეზე აქვს შესრულებული. განსაკუთრებით მომეწონა და არ შემოიძლია არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ მე მხოლოდ ამ სკოლის ღონისძიებაზე მოვისმინე სოფელში გავრცელებული ქართულ ხალხური საშაირო სიმღერები, რაც უდაოა მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია, რამეთუ ფოლკლორი ჩვენი საგანძურია და მისი მოგროვება და შენახვა, თაობიდან თაობაზე გადაცემა, მომავალი თაობებისთვის მისი შესწავლა, სწორედ ჩვენი ვალია.

„-ცოდნითა და ნიჭით კაცი, თავს გაიკვლევს ცხოვრებაში, უსწავლელი, ზარმაცგუდა, იკარგება ქვეყანაში.“ - მღეროდა ლუკა ნატროშვილი.

„მაჩხანელი ბიჭი ვარ, ეშმაკი მიზის მხარზეო, ხელში ფანდური მიჭირავს, დავდივარ კარი კარზეო....ჰერი, ბიჭო ჰერიო, იმისთვის ვმღერო, რომ მეზობლების ჯინაზე ვასახელო ერიო, ჩემნაირი სახლში მოგცათ, დაგაკლდებათ მტერიო!“-საინტერესოდ უღერდა გიორგი მაძლარაშვილის ნამღერი შაირი, რაც ვფიქრობ, ჩვენი ქიზიყური ფოლკლორის მშვენიერ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

ღონისძიებაზე შესრულდა არაერთი სიმღერა „მეგობარს ჩახედე თვალებში“, ქართველების ქართველობა დამილოცე ღმერთო...“ პატარებს ოთხი კლასის დამთავრება მიულოცეს მათმა პირველმა მასწავლებლებმა ნათელა ჩიტიშვილმა

და მზია გოგილაშვილმა, სკოლის დირექტორმა ალექო ნატროშვილმა, სკოლის ყოფილი დირექტორი ნეჟნა ჯამასპიშვილი კი, ამ შემთხვევაში, ბებიის რანგში გამოვიდა სიტყვით და პატარებს მომავალი ნაბიჯები დაულოცა.

ღონისძიებას მუსიკალურად უძღვებოდა სკოლის მუსიკის პედაგოგი ციალა ჯამასპიშვილი, რომელმაც არანაკლები წვლილი გაიღო იმისთვის, რომ მისი ნაწარმოებები ღირსეულად წარმდგარიყვნენ დამსწრე საზოგადოების წინაშე.

„ჩემო გულუხვო, ჩემთვის მუდამ კარგის მგებელო, მასწავლებელო ჩემო დიდი დამრიგებელო, რაც გადმომეცი, რაც მასწავლე კარგი, შენ ჩემი სულის



არაა მოკლებული, რომ მომავალ თაობას ბედნიერი მომავალი დაუშკვიდროს, შეუფასებელია.

ლალი მეხრიშვილი





რას ურჩევს ახალზელანდიელი მეცხვარი ქალბატონი ქართველ ფერმერებს

მეცხვართა ასოციაციის სულისჩამდგმელისა და ხელმძღვანელის ბექა გონაშვილის მოწვევით საქართველოს ახალზელანდიაში მოღვაწე მეცხვარე ახალგაზრდა ქალბატონი დანიანა მარტინს ალმეიდა ესტუმრა...

ყვეით თქვენს შესახებ... დავიბადე და გავიზარდე ბრაზილიაში. დავამთავრე სან პაულოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მესაქონლეობის სპეციალობით...

ვაქცინაცია, მოვლა-პატრონობა; შენობა-ნაგებობების მოვლა. მევალება გენეტიკური ინფორმაციის დამუშავება, ბაზის წარმოება და სამეცნიერო ჯგუფისთვის მინოდება...



რიანები არიან მეცხვართა ასოციაციები და რა როლს თამაშობენ დარგის განვითარებაში?

საინტერესოა, რომ ახალი ზელანდიის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 4,451,017 ადამიანს (2013 წლის მონაცემებით)...

ამჟამად ვმუშაობ ახალ ზელანდიაში One Stop Ram Shop-ში (OSRS) როგორც მათი წარმომადგენელი სამხრეთ ამერიკაში...

თქვენს მიზანი იყო საკუთარ ქვეყანას გამოდგომოდით, ამ მხრივ რა კონკრეტული ღონისძიებები განახორციელეთ? ეს ძალიან ნელი პროცესია...

ასეთი ორგანიზაციები ახალზელანდიაში საკმაოდ ქმედუნარიანები არიან, რომელთაც აფუძნებენ უშუალოდ ფერმერები...

საინტერესოა როგორ გახდა ბრაზილიელი გოგონა ახალზელანდიელი მეცხვარი. ჩვენს ქვეყანაში ქალბატონები ნაკლებად ინტერესდებიან ამ მიმართულებით...

კონკრეტულად რას საქმიანობთ, როგორია დაიანეს ერთი სამუშაო დღე... ფერმაში ბევრ რამეს ვაკეთებ...

Advertisement for 'ავანგარდი' (Avanguardia) seed. Features an image of grape leaves and clusters. Text includes 'სისტემური ფუნგიციდი' and 'დაიცავს თქვენს ვენახს ჭრაქისგან!'.

Advertisement for 'პანტერა 40 ა.ა.' (Pantera 40 a.a.) agricultural product. Includes technical specifications and contact information for Chemtura AgroSolutions.

Advertisement for 'აგროქიზიკი' (Agroqiziki) featuring a cow and text: 'გთავაზობთ მსოფლიოში გავრცელებული მაღალ პროდუქტიული მერძეული და მესორცული ჯიშის ბულის სპერმას...'.



Advertisement for 'პირველი 50 მსურველისთვის' (First 50) featuring a cow and text: 'სპერმის ღირებულებასა და მომსახურებაზე გავრცელდება 50%-იანი ფასდაკლება...'.

Advertisement for 'აგროქიზიკი AGROQIZIKI' featuring a cow and text: 'შეიძინეთ ჰერბიციდები და გენახის წამლები შპს აგროქიზიკის მაღაზიაში...'.



